სამართლიანობა*

ვილჰელმ ზაუერი

15. უსამართლობის გადალახვა სამართლიანობისა და სიყვარულის მეშვეობით

„არაფერია იმაზე აუტანელი, ვიდრე უსამართლობა“, ვინაიდან უსამართლობა სხვა არაფერია, ვიდრე უდანაშაულოთა ტანჯვა ან სხვისი ბრალეულობის გამოსყიდვა. ზემოთ მოცემულ იქნა ესოდენ გავრცელებული უსამართლობის რამდენიმე შემთხვევა: 1) ბუნების ან ბედის უსამართლობა; 2) ადამიანის ცალკეული ქმედებების (კანონები, გადაწყვეტილებები, ქცევა და მოპყრობა) უსამართლობა; 3) ყველა ადამიანური წესრიგისა და ინსტიტუტის უსამართლობა. უსამართლობა ყოველთვის მოიცავს ბრალეულობას, ხშირად, მძიმე ბრალს, თუნდაც იმიტომ, რომ მისი შედეგები ძალიან ხანგრძლივი და დამთრგუნველია. აღნიშნული სამი შემთხვევიდან პირველში ბრალეული „ბედისწერაა“; მეორეში – მოქმედი, აქტიური ან უმოქმედო პირი ან მისი ბრძანებები (კანონები), მაგრამ ასევე მესამე, გარეშე პირი; მესამე შემთხვევაში – უსამართლო წესრიგის ან ინსტიტუტის შემქმნელი პასუხისმგებელი პირი, ავტორიტარული სახელმწიფო, საეკლესიო წყობა, საზოგადოების ფორმა, მმართველი პარტია ან კლასი.

მხოლოდ ეს მიმოხილვაც კი აჩვენებს, რომ უსამართლობის გამოსწორება ძალიან რთულად თუა შესაძლებელი, ზოგჯერ კი საერთოდ შეუძლებელია. დამნაშავე პასუხისგებაში უნდა მიეცეს; ამ გამოსყიდვაში ან პასუხისმგებლობაში, სასჯელში ან ზიანის ანაზღაურებაში დევს ის რეაქცია, რომელსაც სამართლიანობა მოელის, რაც ნებისმიერ იდეალურ შემთხვევაში ნიშნავს სამართლიანობის გამოცდას, კანონიერი მდგომარეობის აღდგენას ან სუბიექტურ დაკმაყოფილებას.

ამრიგად, უსამართლობის მორალურად და სამართლებრივად აუცილებელი გადალახვა ხდება სამართლიანობის შექმნით და, შეძლებისდაგვარად, საერთო სიკეთის შექმნით. თუ ეს ვერ ხერხდება ან სრულად ვერ ხერხდება (სამართლიანობა, როგორც მარეგულირებელი იდეა, ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ მარადიული ამოცანაა), მაშინ, სულ მცირე, სიყვარული უნდა გამოვლინდეს და განხორციელდეს; ამით, მიიღწევა გარკვეული შინაგანი კმაყოფილება და აღდგება სუბიექტური წონასწორობა – არასრულყოფილი, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, ნაწილობრივი გადაწყვეტა.

* დასაწყისი იხილეთ ჟურნალის I, II, III და IV ნომერში.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის ეგზომ ხშირად წარუმატებელი სითამამე: სიმამაცის – სულიერი, სიმამაცის – პლატონური, კარდინალური სათნოება. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ადამიანები, როგორც წესი, ზედმეტად მშიშრები და ზედმეტად ეგოისტები არიან; მაშინ უსამართლობაში მათი ბრალეულობაა ან (სხვებთან ერთად, არსებულ წესრიგთან ერთად, ან ბედთან) იზიარებენ ბრალს. უსამართლობა, რომელიც ესოდენ ხშირი და დამთრგუნველია, უნდა გადაილახოს. ეს კაცობრიობის მოვალეობაა, თუ მას სურს, თავი „ადამიანურად“ წარმოაჩინოს. ის არ უნდა დამძიმდეს უსამართლობით, როცა სხვაგვარად მოქცევის უფლება აქვს.

უსამართლობის დაძლევა შესაძლებელია მხოლოდ სამართლიანობით და მისი წინამორბედებით, სიყვარულითა და ჭეშმარიტებით, სითამამითა და სიმამაცით. ადამიანებს, რომლებიც უსამართლოდ იქცევიან, შესაბამისად უნდა მოექცნენ. ადამიანი გაიმარჯვებს და მას შეუძლია გამარჯვება მხოლოდ ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის დაცვით, ფასეულობების შექმნით, ჭეშმარიტი ღვთაებისკენ სწრაფვით, როცა ცრუ ღმერთი, რომელსაც ადამიანები თაყვანს სცემენ, მიატოვებს მათ და რომელსაც მხოლოდ ტანჯვა და გაჭირვება, ავადმყოფობა და დანაშაული მოაქვს.

ყველაზე ძლიერი ადამიანიც კი უძლურია ბუნების, „ბედის“, „ეშმაკის“ წინაშე. როგორ უნდა მოიქცეს ის მათ წინაშე, როცა თავს ისევ უსამართლობა დაატყდება? არსებობს მხოლოდ ერთი მოკლე და მკაფიო პასუხი: მას უნდა სძულდეს ყველა, როგორც ისინი ამას „იმსახურებენ“; მაშინ ის მათ „სამართლიანად“ მოექცევა. ადამიანი უნდა გაექცეს მათ მარადიული ფასეულობების სამეფოში, უკან დაიხიოს, არა – ამაღლდეს, მოიტანოს და შექმნას ფასეულობა ფასეულობების სამეფოში, შეერწყას ჭეშმარიტ ღმერთს. მაშინ ადამიანი ზურგს აქცევს უღირსებს, მიატოვებს და ამით უვნებელყოფს მათ.

15a. სამართლიანობა, როგორც დაცვა სოციალურ-ეთიკური გადახრებისგან

ცხოვრებისეული გამოცდილება მუდმივად აწყდება სოციალურ-პათოლოგიურ გადახრებს[1]: „გულმოდგინება ადამიანს ხდის არაპოპულარულს“; რადგან სხვები უფრო მეტად უნდა ეცადონ, რომ არ ჩამორჩნენ. პროდუქტიულობის უნარი, რომელიც გულმოდგინების, როგორც რეალური მიღწევის, წინა სტადიაა, ითვლება სტანდარტად მხოლოდ სკოლაში და ცხოვრების სკოლაში. რეალური ცხოვრება ცდილობს, დათრგუნოს პროდუქტიულობა, რათა თავიდან აიცილოს არასასიამოვნო შესრულება, აღმოფხვრას შრომისმოყვარეობა. ამისგან თავს

1. შემდეგი აბზაცი ტექნიკური მიზეზების გამო უკვე გამოქვეყნებული იქნა დანართში „Leben und Lehre“ 1958, გვ. 208.

იცავს ჭეშმარიტი ფასეულობა; რაც უფრო წარმატებულია თავდაცვა, მით უფრო იზრდება გულმოდგინება. რეალური გულმოდგინება მოითხოვს თავდაცვის უნარს, ისევე როგორც შესრულების უნარს. თავდაცვა კი ადამიანს კიდევ უფრო არაპოპულარულს ხდის; რადგან სხვას განსაცდელი ემუქრება. ადამიანს შეუძლია გახადოს საკუთარი თავი უფრო პოპულარული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის სხვა ადამიანს მოუტანს ან, სულ მცირე, უჩვენებს უპირატესობას ისე, რომ მან შეძლებისდაგვარად დაივიწყოს მისთვის გამაღიზიანებელი შესრულება ან ნაკლებად განიკითხოს ის. გულმოდგინება შესრულებისა და თავდაცვის გარდა მოიცავს მესამეს – მუშაობას სხვებისთვის, როგორც მეგობრებისთვის, ისე (მით უმეტეს) მტრებისთვის. ვინაიდან არავის აქვს პროდუქტიულობის ასეთი უნარი, ჯანსაღი ეგოიზმი (sacro egoismo პოლიტიკურ ცხოვრებაში), ბოლოს და ბოლოს, გამართლებულია. უმაღლესი სტანდარტი არის არა სიყვარული, არამედ სამართლიანობა. ყველაზე გადაუდებელი საჭიროებაა სამართლიანობაზე ზრუნვა და სამართლიანობის სულისკვეთებით აღზრდა.

ამის მიხედვით, ადამიანი გადადის სამართლიანობის ვითომ სუბიექტური განსაზღვრისკენ. მას ხელს უწყობს მიმართულებები და სისტემები, რომლებსაც თავად ახასიათებს სუბიექტური დამოკიდებულება, მიუხედავად მათი ობიექტური მართებულობისა, და ატარებს საფრთხეს, რომ შეიძლება გადაგვარდეს სიცოცხლისადმი ეგოცენტრულ და, საბოლოოდ, ეგოისტურ დამოკიდებულებად. თუმცა, ის უკვე იტანჯება აქამდე თითქმის ამოუცნობი თეორიული ხარვეზისგან. სამართლიანობის ჭეშმარიტი, სწორი ცნება შეიძლება სოციოლოგიურ-სოციალურ-ეთიკურად განისაზღვროს მხოლოდ სოციალურ სფეროში. თუ ის რჩება ინდივიდის სფეროში, თუნდაც პიროვნულად გამართლებული იყოს, სამართლიანობის ცნება იქნება არასრულყოფილი, მცდარი, არასწორიც, მაშინაც კი, თუ ამ ცნებას მაინც აქვს სამართლიანობის მახასიათებლები (სხვა ადამიანისადმი მოპყრობა მისი ღირებულების შესაბამისად და ა.შ.). ამ მხრივ შეიძლება განვასხვაოთ სამართლიანობის სწორი და არასწორი ცნება, ისევე როგორც ვცდილობდით, განგვესხვავებინა სწორი და არასწორი უფლება.

რამდენადაც ანტიკური ეთიკა, ქრისტიანული რელიგია და გერმანული კლასიციზმი ამაღლებს სამართლიანობას, როგორც ერთ-ერთ უმაღლეს სათნოებას, როდესაც პლატონი თავის იდეალურ სახელმწიფოს სამართლიანობაზე აშენებს, ხოლო კანტი სიცოცხლეს უსარგებლოს უწოდებს, თუ სამართლიანობა არ არის, უარყოფილი იქნება ვალდებულებისა და სათნოების დოქტრინის მკაცრად ეთიკური (ინდივიდუალურ-ეთიკური) ან რელიგიური საფუძველი, ხოლო პიროვნული დამოკიდებულება გაფართოვდება საგნობრივ-ობიექტურზე. გერმანული იდეალიზმის ფილოსოფიაში კანტი და ფიხტე მხოლოდ გარეგნულად ინარჩუნებენ სუბიექტურ თვალსაზრისს; ფაქტობრივად, ის ტრანსცენდენტურად (ობიექტურ-კრიტიკულად და ფართოდ) უნდა გავიაზროთ,

ხოლო ამ პირობით მხოლოდ სამართლიანობის ზოგადად მართებული იდეაა შესაძლებელი. გარეგნულადაც, ამ ფილოსოფიური მიმართულების ფარგლებში სუბიექტურის ობიექტურამდე გაფართოება პირველად ჩნდება შელინგსა და ჰეგელთან. ნეოკანტიანელთა შორის სამართლიანობის სოციალური ხასიათი ხაზგასმულია ნატორპის (Sozialpädagogik 1904, გვ. 212) და შტამლერის (Theorie der Rechtswissenschaft 1911, გვ. 437) დეტალურ შენიშვნებში: სოციალური იდეალის, როგორც თავისუფალი ადამიანების საზოგადოების განსაზღვრისას, ინდივიდები და განსაკუთრებული საზოგადოებები, რომლებიც ასე ხშირად ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, იძენენ უმაღლეს ერთიანობას. ჰარტმანის თანახმად (Ethik 1926, გვ. 386), სამართლიანობა არა მხოლოდ განსაკუთრებული სათნო ფასეულობაა, არამედ საზოგადოების ფაქტობრივი ფასეულობა, რომელიც მდგომარეობს ადამიანთა სოლიდარობაში, მათ ერთმანეთისადმი თანადგომაში და საერთო პასუხისმგებლობაში როგორც მთლიანობაში, ასევე ახლობლების გამო, ხოლო იმავდროულად ინდივიდის დამოკიდებულების ფასეულობას განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება. ეგზისტენციალური ფილოსოფია[2], რომელიც დაკავშირებულია ჰარტმანის ონტოლოგიასთან, კიდევ უფრო რჩება ინდივიდის სფეროში: ადამიანი „ეგზისტენციალური“ ხდება მაშინ, როცა გადაწყვეტილებას პასუხისმგებლობით იღებს და წინააღმდეგობაში შედის ობიექტურ ნორმებთან, რომლებმაც თავიანთი დასაბუთება ცალკეული ინდივიდის კონკრეტული პასუხისმგებლობიანი გადაწყვეტილებითაც კი უნდა მიიღონ. სწორედ აქ იბადება ინდივიდუალიზმი, რომელმაც უნდა მიგვიყვანოს ფასეულობით ნიჰილიზმამდე.

16. ზემოქმედება სამართლიან გადაწყვეტილებებზე ეთნიკური კუთვნილების, ასაკის, ხალხის ხასიათის, პროფესიების (თეოლოგია, ეთიკა), მეთოდიკის გავლენით

I. სამართლიანობა ემყარება ფასეულობით განსჯას, რომელიც, ისევე როგორც ყველა განსჯა, მოითხოვს ლოგიკურ სიზუსტეს, სიცხადეს და სიმკვეთრეს, რომელიც მეტ-ნაკლებად შერწყმულია გრძნობის ელემენტებთან და ატარებს ძალასა და ენერგიას. ნებისმიერი სამართლიანობისთვის დამახასიათებელი ფასეულობების გონივრული აწონა, რაც მას მაღალ, საყოველთაო მნიშვნელობის ფასეულობით ხასიათს ანიჭებს, ზოგჯერ მნიშვნელოვნად სუსტდება ამ გარე ჩარევების შედეგად, რის გამოც, რა თქმა უნდა, თავისთავად სამართლიანობა არ კარგავს თავის ღირსებას აბსტრაქტულ მდგომარეობაში, მაგრამ მისი როლი

2. იასპერსის ეგზისტენციალური ფილოსოფიის მიხედვით, იოჰანეს თისენის წარმოდგენაში, ჟურნალში Arch. RSozPH. 41 გვ. 1/18.

კონკრეტულ შემთხვევაში ბოლომდე არ ხორციელდება. მაშინ მცოდნე ადამიანი ამბობს: აქ და ახლა არა მხოლოდ სამართლიანობას აქვს საბოლოო სიტყვა, არამედ ასევე სიყვარულს, მოთმინებას, ძალას და ძალაუფლებასაც. შესაძლებელია განმსაზღვრელი ფაქტორების (დეტერმინანტების) გამოყოფა, რომლებმაც შეიძ-ლება უფრო დიდი გავლენა მოახდინოს სამართლიანობის გადაწყვეტილებაზე ცალკეულ შემთხვევებში. როგორც ნებისმიერი გადაწყვეტილება, ისინი ეფუძნება ხან მიდრეკილებას, ხან იმ გარემოს გავლენას, რომელშიც შემფასებელი იმყოფება. ისინი ხან ბუნებრივია, ხან კულტურული, სოციალური, ეკონომიკური.

ამრიგად, სამართლიანობის განსჯა ერთობლივად შეიძლება განისაზღვროს ეთნიკური და ტომობრივი კუთვნილების მიხედვით, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია ჰავისა და ნიადაგის პირობებზე. ჩრდილოეთში ადამიანები უფრო მშვიდად, უფრო ობიექტურად, უფრო ფხიზლად, უფრო მიუკერძოებლად უყურებენ საგნებს და აფასებენ მათ, ვიდრე სამხრეთში; ჩრდილოეთში განხორციელების გარანტია, შესაძლოა, სამართლიანობის გრძნობაც და მისდამი ინტერესი, როგორც ჩანს, უფრო მაღალია, ვიდრე სამხრეთში. არის თუ არა მსგავსი კონტრასტი გერმანული და რომანული წარმოშობის ხალხებს შორის და როგორ ურთიერთქმედებენ მათთან სლავური, აღმოსავლური და აზიური წარმოშობის ხალხები, საჭიროებს დეტალურ შესწავლას, რაც მნიშვნელოვანი ამოცანაა პოლიტიკური გააზრებისთვის. გამოცდილება გვასწავლის, რომ, ზოგადად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ (რეგიონულად და კულტურულად განპირობებულ) გარდატეხებს, რომანული წარმოშობის ხალხს აქვს ფორმის ძლიერი შეგრძნება და, შესაბამისად, მათ აქვთ ხელოვნების, განსაკუთრებით, სახვითი ხელოვნების ნიჭი, ასევე უნარები იურისპრუდენციაში, განსაკუთრებით ფორმალური სფეროსა და პრობლემების მიმართ, მაშინ როცა გერმანული წარმოშობის ხალხს, განსაკუთრებით ანგლოსაქსებს, აქვთ ფაქტობრივისა და ინდივიდუალურის შეგრძნება მატერიალური სოციოლოგიისა და უტილიტარიზმის მიმართ, ამიტომ ფორმალური პრინციპები მათთან უკანა პლანზე გადადის, მატერიალურ სამართლიანობასა და კონკრეტულ საერთო სიკეთესთან შედარებით. რა თქმა უნდა, რომანული წარმოშობისა და სამხრეთელმა ხალხებმაც იციან სამართლიანობის ფასი; ზემოთ უკვე აღნიშნულ იქნა მათი პოზიცია პლატონთან და მთაზე ქადაგებაში. თუ კონტრასტები მაინც შესამჩნევია, მაშინ ისინი ეხება მხოლოდ სამართლიანობის წმინდა განსჯის სიძლიერეს და მასთან დაკავშირებულ ფაქტორებს – ემპათიურ სიყვარულსა და მოთმინებას. თუმცა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული ჩვენი შეხედულების თანახმად, სამართლიანობა ცალკეულ შემთხვევებში უნდა იყოს შერწყმული კეთილგანწყობასა და სულიერ სითბოსთან, რათა სრულად ეფექტური იყოს ბრალდებულის სკამზე მჯდომი დამნაშავის მიმართაც კი; მაგრამ ამ შეხედულების თანახმად, სამართლიანობის მიერ შეთავაზებულმა ფასეულობის სტანდარტმა არ უნდა გადაინაცვლოს სიყვარულისა და კეთილგანწყობის სასარგებლოდ.

II

ასაკობრივ ჯგუფებში განსხვავება სქესის მიხედვითაც არსებობს. ყმაწვილები და ქალები დიდწილად ხელმძღვანელობენ სიყვარულით, კეთილგანწყობითა და მოთმინებით, როდესაც ეძლევათ სამართლიანობის განსჯის შესაძლებლობა; ეს ჩანს მომავალი იურისტების, განსაკუთრებით, მდედრობითი სქესის წარმომადგენლების მაგალითზე, თუ რამდენად ცუდად აქვთ განვითარებული სამართლიანობისა და მისი განხორციელების შეგრძნება ცალკეულ შემთხვევებში, თუ როგორ აძლევენ თავს უფლებას, ცდუნდნენ ლამაზი სიტყვებითა და ცრემლებით, თუ რამდენად უფრო ლმობიერად განსჯიან ისინი პროფესიონალ, მჭევრმეტყველ თაღლითს, ვიდრე წვრილმან ქურდს, რომელიც აღიარებს თავის დანაშაულს. ყმაწვილები და ქალები ასევე მოელიან, რომ მათ მოექცევიან არა იმდენად სამართლიანობის სტანდარტების შესაბამისად, არამედ მოთმინებითა და კეთილგანწყობით. მხოლოდ უარყოფით ასპექტებში არიან ყმაწვილები განსაკუთრებულად მგრძნობიარენი უსამართლო მოპყრობის მიმართ, მაგალითად, მასწავლებლების ან მშობლების მხრიდან. სამართლიანობის მკაცრი გრძნობა მწიფდება მხოლოდ ზრდასრულ ასაკში და არის სიქველის, მამაკაცურობის ჭეშმარიტი მახასიათებელი, რომელიც მნიშვნელოვნად სცდება მის პირდაპირ მნიშვნელობას და ხდება სათნოება, რომელშიც, ისევე როგორც პლატონთან, სამართლიანობა პირველ ადგილზეა. მეორე მხრივ, მოწიფული ადამიანი მოელის, რომ მას მოექცევიან მხოლოდ მისი გულმოდგინების ხარისხის შესაბამისად, რომელიც სწორედაც მის „მოწიფულობაში“ მდგომარეობს.

მეორე მხრივ, რთულ კითხვებს ბადებს სიბერე ან თუნდაც ასაკობრივი ზღვრის მიღწევა. მოულოდნელად, თვითნებური გარდატეხის შედეგად, ხშირად ჯერ კიდევ სრულიად პროდუქტიული ადამიანი შორდება თავის პროფესიას, რომელსაც მან მთელი თავისი ძალა მიუძღვნა და რომლისთვისაც შეეძლო ემსახურა ასაკობრივი სიბრძნითა და მდიდარი გამოცდილებით. მხოლოდ ახლა დაეუფლა ის იმ ცოდნას, რომელიც ფასდაუდებელი იქნებოდა ახალგაზრდებისთვის. ამიტომ გრძნობს, რომ მას უსამართლოდ ექცევიან, განსაკუთრებით მაშინ, როცა მის ადგილს არაკომპეტენტური ადამიანი იკავებს, რომელიც მის შეხედულებებს „მოძველებულს“ უწოდებს. ასეთი მენტალური დამოკიდებულება სავსებით გასაგებია უსამართლოდ მოპყრობის განცდის გამო, რაც საზიანოა საერთო სიკეთისთვის. შილერი („ვალენშტაინი“) აცხადებს პროფესიულ ეთოსს: „თუ მუშაობა არ შემიძლია, განადგურებული ვარ“, ხოლო გოეთე სამართლიანად შენიშნავს, რომ მოხუცი ადამიანი კარგავს ადამიანის ერთ-ერთ უდიდეს უფლებას: მას უკვე განსჯიან არა თანატოლები, არამედ არაღიარებული ახალგაზრდები, რომლებსაც მისი არ ესმით; მოხუცი ყოველთვის ფეხქვეშ გათელილი მეფე ლირია. ხოლო ფრაიდანკმა (ჯერ კიდევ 1230 წელს) ჩამოაყალიბა ახალგაზრდებისთვის: რაც თქვენ ახლა ხართ, ჩვენ ეს ვიყავით;

რაც ჩვენ ახლა ვართ, თქვენ ეს იქნებით. მაგრამ ისეთივე გაუმართლებელია წყენა (უკმაყოფილების გრძნობა), რომელსაც მოხუცები ასე ხშირად განიცდიან წარმატებული ახალგაზრდების მიმართ. იგივე გოეთე ამბობს: ახალგაზრდობა აქ მის გამოა; სისულელე იქნება მოთხოვნა: მოდი, ჩემთან ერთად დაბერდი! – უსამართლო იქნებოდა, ყმაწვილებისთვის არ მიგვეცა იმ წინსვლის საშუალება, რომელსაც ისინი იმსახურებენ; მათ უნდა დაიკავონ თავიანთი ადგილი, ხოლო ის ფასეულობები, რომლებსაც ჯერ კიდევ ფლობენ ხანდაზმული ადამიანები – გაწონასწორებულობა, სიმშვიდე, ამქვეყნიური სიბრძნე, მდიდარი გამოცდილება – სათანადოდ უნდა იყოს მათთვის ხელმისაწვდომი. სამართლიანობა მოითხოვს, როგორც აქ ძალიან ნათლად ჩანს, ყველა თვალსაზრისის გათვალისწინებას, არა მხოლოდ მოხუცი ადამიანის თვალსაზრისისა. მისი ამქვეყნიური სიბრძნე ასევე მდგომარეობს იმაში, რომ დროულად მიხვდეს, რომ დროა განზე გაიწიოს და გზა დაუთმოს ახალგაზრდობას ახალი, პერსპექტიული შეხედულებებით. აქ სამართლიანობა ისევ სიყვარულს ერწყმის[3].

განსხვავებული, მაგრამ მაინც მსგავსი სახის კონტრასტები შეიძლება შეინიშნოს პირველყოფილ ძირძველ ხალხებს, ახალგაზრდა, განვითარებად კულტურულ ერებსა და ძველ ან დასუსტებულ ხალხებს შორის. ყველა ერისთვის საერთოა ეგოცენტრულობა, ეგოიზმი, სხვა ხალხების მიმართ ემპათიის ნაკლებობა და მათ მიმართ კეთილი ნება, როცა ამის საშუალებას არ იძლევა საკუთარი ინტერესი. მათ ასევე ნაკლებად ესმით სამართლიანობა უცხო ხალხებთან მიმართებით, თუ ეს კონკრეტულ შემთხვევაში ნაკარნახევი არ არის მათი კეთილდღეობით. ჰომეროსთან, ისევე როგორც ჩვენი ყმაწვილკაცების შემთხვევაში, განდიდებულია სითამამე და სიმამაცე, ასევე ეშმაკობა და მოხერხებულობა, ტყუილის ხელოვნება (რაც განსხვავდება ჭკვიანობისა და სიბრძნისგან, რომლებიც იდეალად იქცა მხოლოდ სოკრატეს შემდეგ). სამართლიანობა მხოლოდ სხვათა შორისაა მოხსენიებული, ძირითადად, ნესტორთან, რომელმაც „სამი თაობის“ გამოცდილება მიიღო; მოგვიანებით კი სამართლიანობას აქებდა პისისტრატე, შემდეგ კი – არისტიდესი. აგრეთვე ნიბელუნგების საგა განადიდებს სითამამეს და სიმამაცეს, ძალასა და გამძლეობას; სამართლიანობას კი აღასრულებს ქალი შურისძიების სახით, საშინელი, თითქმის შემზარავი მასშტაბით. მხოლოდ ხალხების მიერ კულტურულ ერად გამოღვიძება ავსებს მათ ერთმანეთის მიმართ სამართლიანობის გარკვეული გრძნობით; მაგრამ დიდი დრო დასჭირდა

3. Ferd. Kehrer (ფსიქიატრი მიუნსტერში), Vom seelischen Altern 1950. ნაშრომში ავტორი რეკომენდაციას უწევს სიბერის ჰიგიენას, სიბერის ხარვეზების პრევენციას შეძლებისდაგვარად გაახალგაზრდავებით, ახალგაზრდობის ერთგვარი გახანგრძლივებით. სენ-პიერის (1948 წ.) თანახმად, ახალგაზრდობის შენარჩუნება სოციალურ ვალდებულებად იქცა, ამიტომ დასაქმებას პრაქტიკული ფსიქოლოგიის პოზიციიდან უნდა მივუდგეთ. შოპენჰაუერის აფორიზმები VI „ახალშობილი ჰარმონიისკენ“ მოუწოდებს (რაც, კერერის თანახმად, საშუალო ადამიანისთვის განკუთვნილი არ არის!); უფრო სრულყოფილია კ. გ. იუნგი: სიცოცხლის ბოლომდე აზრიანად ცხოვრებისა და სიბრძნის შეძენის ხელოვნება. მისაბაძი მაგალითი აქაც არის: გოეთეს ფაუსტი.

ხალხების აღზრდას, რომ გაეცნობიერებინათ „საერთაშორისო სამართალი“, რასაც ისინი პრაქტიკული და პოლიტიკური მიზეზებით უფრო იღებენ და არა სამართლიანობის გრძნობის გამო. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი უფრო მეტად აღმოცენდა ეკლესიის წიაღიდან, საეკლესიო წრეებიდან, ვიდრე სახელმწიფოებიდან. უპირველეს ყოვლისა, უარყოფით ასპექტში შესამჩნევია, რომ უფლებების დარღვევისა და ხელყოფის შემთხვევაში ჯერჯერობით ახალგაზრდა, ამბიციური და გარკვეულწილად ძლიერი ხალხები ხაზს უსვამენ და ახორციელებენ სახელმწიფო ძალაუფლებას, ხოლო სუსტი და ჩაგრული ხალხები საპროტესტო ნოტაზე მიმართავენ კანონსა და სამართლიანობას. მხოლოდ ბოლო ხანებში შემუშავდა ადამიანისა და ხალხების ძირითადი უფლებები როგორც სამართლიანობიდან გამომდინარე შედეგი, რომლებიც, სხვათა შორის, ჯერ კიდევ იწვევს ცხარე კამათს დეტალებთან დაკავშირებით. აქაც მნიშვნელოვანი იყო ეკლესიისა და (ასევე საკამათო) საეკლესიო ბუნებითი სამართლის გავლენა. სახელმწიფოებს თითქოს ეშინიათ, მიმართონ სამართალსა და სამართლიანობას, თითქოს ამ შემთხვევაში ისინი შეიძლება ეჭვმიტანილი იქნენ საკუთარი სისუსტის აღიარებაში; ჰომეროსისეული სათნოებები – ძალა და ტყუილის ხელოვნება – უფრო ესიმპათიურება მათ.

III

არანაკლებ, ვიდრე ეს ბუნებრივი და ეთნოლოგიური გავლენები, მოსამართლის ცხოვრების სოციალური და ზოგადკულტურული პირობები, მისი აღზრდა და განათლება, ინტელექტუალური და მორალური დონე, ფინანსური მდგომარეობა, განსაკუთრებით, პროფესიული პოზიცია, ასევე აღმსარებლობითი კუთვნილება და რელიგიური შეხედულებები გავლენას ახდენს სამართლიანობის განსჯაზე. ცხადია, იურიდიული და პედაგოგიური პროფესიის წარმომადგენლები უფრო ქმედუნარიანები და პრაქტიკულები არიან სამართლიანობის მტკიცედ განსჯაში, რაც მათი ყოველდღიური სამუშაოს ნაწილია, ხოლო თეოლოგიური და საქველმოქმედო პროფესიის წარმომადგენლები უფრო მიმართული არიან სიყვარულისა და კეთილგანწყობისკენ, თუმცა, საბოლოოდ მათაც საერთო სიკეთეზე უნდა იზრუნონ.

იურიდიული შეხედულებები უფრო დეტალურად იქნება განხილული (მე-2 ნაწილში); აქ კი უნდა გადმოვცეთ პროტესტანტული თეოლოგის უაღრესად მნიშვნელოვანი დამოკიდებულება[4], რომლის მიღება შეუძლია არა იურისტს და ფილოსოფოსს, არამედ უფრო პედაგოგს და რომელიც, შესაძლოა, სასარგებლო აღმოჩნდეს სასჯელაღსრულების სისტემისთვის. შეიძლება დავეთანხმოთ სამართლიანობის არსის კონცეფციას: თანასწორთან – თანასწორი მოპყრობა, უთანასწოროსთან – განსხვავებული; მაგრამ ისმის კითხვა: რომელი სტანდარტის

4. Emil Bruner (პროფესორი ციურიხში), Die Gerechtigkeit, Zürich 1943.

მიხედვით? პროტესტანტული დოქტრინისთვის შედარებითი სამართლიანობა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, მაგრამ ის განიხილება მხოლოდ სიყვარულის „წინა საფეხურად", რომელიც არის „ღვთის სამართლიანობა", ბიბლიის თვალსაზრისით; თავისთავად სამართლიანობა კი მხოლოდ წინა საფეხური და მორალის ყველაზე დაბალი სახეობაა. ის ვერ გახდება ნამდვილი სამართლიანობა, თუ არ დათმობს საკუთარ თავს და არ გახდება სიყვარული. ამ თეოლოგიური დოქტრინის მეორე ნაწილი შეიცავს ოჯახის, ეკონომიკის, სახელმწიფოს, ხალხების სამართლიანი მოწყობის „მცდელობას" ქრისტიანული, სოციალური წესრიგის მიმართულებით. ეს თვალსაზრისი შეიძლება მიღებულ იქნეს რელიგიურ სფეროში ამიერი და იმიერი ცხოვრებისთვის, მაგრამ არა სოციალური წესრიგისთვის.

ეთიკისა და პედაგოგიკის შემთხვევაში შეხედულებები განსხვავებულია, ასევე განსხვავებულია ავტორების მოტივები. მაშინ, როცა პლატონი სახელმწიფოს იდეალის ჭეშმარიტად ელინური პრიმატის შესაბამისად აღიარებს სამართლიანობას უმაღლეს სათნოებად, თანამედროვე ფილოსოფოსი[5] ბალტიისპირეთიდან, ნეოკანტიანელთა მარბურგის სკოლის ყოფილი მიმდევარი და მოგვიანებით კი ჰუსერლის ფენომენოლოგიის მიმდევარი, ინდივიდუალური ეთიკის თვალსაზრისით, რაოდენ გროტესკულადაც არ უნდა ჩანდეს, სამართლიანობას უწოდებს „უმდაბლეს სათნოებას", რადგან ვალდებულება მხოლოდ მინიმალურ მორალურ მოთხოვნებს შეიცავს: თანასწორი მოპყრობა ადამიანების მიმართ; მეორე მხრივ, ის აღიარებს უთანასწორობას, რომელიც გამოიხატება გამოჩენილ, სანიმუშო პიროვნებებში დიდი საგანმანათლებლო მნიშვნელობის მქონე ეთიკურ ფასეულობად (ნიცშეს გამოძახილი). გარდა ამისა, ის განადიდებს მოყვასის სიყვარულს და სოლიდარობის გრძნობას, როგორც ნამდვილ სათნოებას და როგორც უმთავრესს მოქალაქის ეთიკურ არსებობაში. მაშასადამე, მის მიერ ამ კონტექსტში წამოყენებული ეთიკური იდეალი ძალიან ახლოს არის საერთო სიკეთის იდეასთან, რომელსაც ჩვენ სოციალური ცხოვრების უმაღლეს პრინციპს ვუწოდებთ და რომელშიც ჩვენ ვაღიარებთ სამართლიანობის დადებით მხარეს და სტანდარტს. ამრიგად, კონსტრუქციული და პირადი გავლენის ყველა განსხვავების მიუხედავად, უნდა არსებობდეს ფაქტობრივი შეთანხმების გარკვეული ხარისხი.

IV

უპირველეს ყოვლისა, აქ ასევე უნდა გვახსოვდეს მეთოდების საკითხი, რომლის მნიშვნელობა ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შეფასებული. ამ თვალსაზრისით, კანტის ტრანსცენდენტური მეთოდი უაღრესად ნაყოფიერი აღმოჩნდება; ეს არის ღრმა შინაგანი მიზეზი შორსმიმავალი სამეცნიერო განსხვავებული აზრებისა,

5. Nikolai Hartmann (პროფესორი ბერლინში), Ethik, Berlin 1926, თავი 44, 55.

რომლებიც გადაიზრდება სასტიკ, მაგრამ უნაყოფო კამათში იმის გამო, რომ მათი მთავარი მიზეზი არ არის შეცნობილი და ეს არის ბირთვი ფუნდამენტურად განსხვავებული პრაქტიკული შედეგებისა, რომლებამდეც, როგორც ჩანს, ლოგიკური სიმკაცრით უნდა მივიდნენ მკვლევრები. აქ დაგმობილი უნდა იქნეს როგორც უსამართლო კრიტიკაზე დაფუძნებული (!) სერიოზული შეცდომა, როდესაც ერთი მიმართულება ემყარება ერთ მეთოდს (შესაძლოა, სასკოლოს), როგორც ერთადერთ ნეტარს, და უარყოფს სხვებს, როგორც არასწორს ან თუნდაც არამეცნიერულს. კანტის კრიტიკული მეთოდის გახსენებასაც კი უნდა გამოეწვია იმის გააზრება, რომ მკვლევარს შეუძლია სხვადასხვა პოზიციის დაკავება და სხვადასხვა ამოცანის გადაჭრა, ანუ სხვადასხვა სამეცნიერო მეთოდის გამოყენება (მუშაობის მეთოდები, პროცედურების სახეები) და აქედან მივიდეს მისი მეცნიერების (მხოლოდ ამ!) სფეროსთვის შესაფერის კონკრეტულ შედეგებამდე.

ამრიგად, ნების ცნება მრავალი მეცნიერების შესწავლის საგანია. ცალმხრივი და, შესაბამისად, არასწორი იქნებოდა ფსიქოლოგიის შედეგების სხვა მეცნიერებებისთვის სავალდებულოდ გამოცხადება; ფსიქოლოგიასა და ფსიქიატრიასაც კი თავიანთი სპეციალური ამოცანების მიმართ განსხვავებულად შეუძლია ნების განსაზღვრა, რათა მისი დახმარებით დამაკმაყოფილებლად გადაჭრას საკუთარი პრობლემები; კიდევ უფრო განსხვავებულად გამოყენება შეუძლია ისტორიკოსს, სოციოლოგს (კოლექტიური ფსიქიკა!), კერძო იურისტს (ნების გამოვლინება, შეცდომა!), სრულიად განსხვავებულად – მასთან მომუშავე სისხლის სამართლის ადვოკატს (უმოქმედობის, განზრახვის, დაუდევრობის დანაშაული!), რომ აღარაფერი ვთქვათ ეთიკასა (კარგი შეხედულება) და რელიგიაზე (უკვდავი სული!). თუ თავის დარგში კომპეტენტური ახალგაზრდა მკვლევარი აღიარებს მხოლოდ თავის ნების კონცეფციას და უარყოფს სხვებს, ეს მიუთითებს არა მხოლოდ მეცნიერულ ვიწრო აზროვნებაზე და არასაკმარის მეთოდოლოგიურ მომზადებაზე, არამედ სამართლიანობის ცუდად განვითარებულ გრძნობაზე. როდესაც ვხედავთ, თუ როგორ კამათობენ ფსიქოლოგები ნების ცნებაზე, სხვა სამეცნიერო დისციპლინისთვის არც ისე რეკომენდებულია, მიმართოს ფსიქოლოგიას რჩევისთვის. მაგრამ, რა თქმა უნდა, სამუშაოს სხვა მეთოდების გაცნობას და მათი შედეგების შესწავლას, რაც შეიძლება სასარგებლო იყოს საკუთარი კვლევისთვის, შეიძლება მხოლოდ სასურველი ეწოდოს, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ყველა პასუხისმგებელია მხოლოდ საკუთარ შედეგებზე.

აქ წარმოდგენილი მეთოდოლოგიური გააზრება თავის მეცნიერულ და თეორიულ გამოხატულებას პოულობს შემდეგ სახელმძღვანელო პრინციპში: მეცნიერების თითოეული დარგისთვის თავისი ძირითადი კანონი განსაზღვრავს კვლევითი სამუშაოს ამოცანებსა და მიზანს, თვალსაზრისსა და გამოსავალს, მოცულობასა და საზღვრებს. ამავდროულად, მკვლევარი სამართლიანი უნდა

იყოს მეცნიერების სხვა სფეროებთან მიმართებით, რომლებსაც მათ წრეში იგივე დასაბუთება აქვს; ამრიგად, მიზეზობრიობის მკაცრი კანონი უპირობო აღიარებას პოულობს მხოლოდ საბუნებისმეტყველო და აღწერით ჰუმანიტარულ მეცნიერებებში (ისტორია, სოციოლოგია), მაგრამ არა სამართალმცოდნეობასა და ეთიკაში. მაგრამ ამ შემთხვევაში განხორციელებულმა მკაცრმა მეთოდოლოგიურმა დიფერენციაციამ არ უნდა გამორიცხოს შესაძლებლობა იმისა, რომ მეთოდების ერთობლიობა, თუნდაც მათი გადაკვეთა (შეგნებულად და არა არაკეთილსინდისიერი მეთოდით!) შეიძლება უკიდურესად სასარგებლო იყოს კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად. ამგვარად, სისხლის სამართლის დოქტრინას მხოლოდ მაშინ შეუძლია გაიმარჯვოს, თუ მისი ძირითადი ცნებები – დანაშაული, ბრალეულობა და გამოსყიდვა – ასევე განიხილება ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური და ეთიკური თვალსაზრისით; ეს უფრო დეტალურად იქნება განხილული ქვემოთ (II 15).

ზოგადი ნაწილის ამ ეტაპზე საჭიროა მხოლოდ აღვნიშნოთ კიდევ ერთი სფერო, სადაც საწყისი დიფერენციაციის და შემდგომი სინთეზის მნიშვნელობა უკიდურესად ნაყოფიერი აღმოჩნდა. ამრიგად, ფილოლოგიის მიღწევად ითვლებოდა მუშაობის მკაცრი ტექსტოლოგიური მეთოდი, რომლის მიზანი იყო უძველესი შემონახული ტექსტის დადგენა ხელნაწერთა ურთიერთკავშირებისა და მათი ტექსტების ისტორიის შესწავლით, აგრეთვე შემონახული ტექსტის შეცდომების აღმოფხვრა შესწორებითა და ინტერპოლაციით (ლახმანი). შემდგომ, მიუხედავად იმისა, რომ შემონახული ტექსტის მთელი ბედის გასარკვევად საჭირო გახდა მთელი ტექსტური ისტორია, ავტორიდან შემორჩენილ ხელნაწერებამდე, ამავდროულად, კულტურული ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი გამოვლინება შეგროვებული იქნა შემეცნებისთვის და გაერთიანებული იქნა ერთ მთლიანობად (ფონ ვილიამოვიც-მიოლენდორფი). ამრიგად, სოფოკლე შეფასდა ტრაგიკული პოეზიის ფარგლებში, პლატონი – ფილოსოფიის ფარგლებში, ხოლო ფილოლოგია გაფართოვდა (უპირველეს ყოვლისა, შეუცვლელი) ტექსტოლოგიიდან ანტიკურობის ყოვლისმომცველ ზოგად მეცნიერებამდე (რისკენაც მიისწრაფოდა ჯერ კიდევ ბიოკი).

გოეთეს ფილოლოგიაში მნიშვნელოვან ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს ტექსტოლოგიური კვლევების დანერგვა (დუნტცერი, შერერი), მაგრამ გოეთეს ფიგურისა და მისი შემოქმედების ჭეშმარიტი გაგებისთვის აუცილებელი იყო მუშაობის ესთეტიკური და ფილოსოფიური მეთოდების ურთიერთქმედება (ჰერმან გრიმი, დილტეი, გუნდოლფი, ზიმელი, კასირერი, რიკერტი, შპრანგერი, მანკე, ფორლენდერი, კროჩე – ეს მხოლოდ რამდენიმე ავტორია იმ წრიდან, რომლის უგულებელყოფა რთულია). სამართლიანობა მოითხოვს, რომ ყველა ძირითადი ხმა გაგონილ იქნეს; მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი ჰარმონიულადაა შერწყმული, შეიძლება მივიღოთ სავარაუდო წარმოდგენა უზარმაზარი

კულტურული ფენომენის შესახებ, რომელსაც გოეთე წარმოადგენს ყველა კულტურული ერისთვის.

დაბოლოს, მინდა აღვნიშნო ის გარდასახვა, რომელიც განიცადა მოცარტის სახემ ბოლო ათწლეულების განმავლობაში. როდესაც ფილოლოგმა ოტო იანმა თავისი დიდი ბიოგრაფია (1856 წ.) დაწერა, მან გააერთიანა საუკეთესო ავთენტური კვლევები მოცარტის რომანტიკული სახის აღწერასთან, როგორც სილამაზისა და კლასიკური სიმეტრიის მანათობელი ფიგურისა, რაც იმ დროს აქტუალურად ითვლებოდა. მუსიკის ისტორიკოს ჰერმან აბერტის ავტორიტეტული ბიოგრაფიული ნაშრომის ახალი გამოცემა (1923 წ.) ასახავს ოსტატის რეალისტურ პორტრეტს ახლა უკვე დომინანტური, მკაცრი ფილოლოგიური კვლევის გამოყენებით, რაც გვიჩვენებს, რომ გენიოსისთვის, რომელშიც უკვე ჩანს ბეთჰოვენის მთელი შემოქმედების ჩანასახები, ასევე უცხო არ არის ტრაგიკული, მწარე და ვნებიან-დემონური განწყობები. თუ მოცარტის სახე დღეს საკმაოდ ცალსახად შეიძლება ჩაითვალოს, ბეთჰოვენის შესახებ აზრი იცვლება ყოველ კულტურულ პერიოდთან ერთად; სწორედ ამიტომ ჩნდება ბეთჰოვენის უზარმაზარი კულტურული ძალის გააზრების ამოცანა კულტურის იდეაზე უშუალო დამოკიდებულებით, თუ გვსურს, ვიყოთ სამართლიანები მასთან მიმართებით[6].

17. სამართლიანობის სტრუქტურული აგებულება

მართლაც, არსებობს მხოლოდ ერთი სამართლიანობა, რომელიც, გამოხატვის ყველა შესაძლო ფორმის მიუხედავად, თავისი არსით ყოველთვის იგივეა და შეფასების ერთსა და იმავე სტანდარტს შეიცავს. თუმცა, ვინაიდან ის შეიძლება წარმოიშვას სხვადასხვა თემში, მომდინარეობდეს სხვადასხვა მოქმედი პირისგან და მისდევდეს სხვადასხვა მიზანს სხვადასხვა საშუალებით, ჩნდება კითხვა, თუ როგორ უკავშირდება ეს ცალკეული ტიპის გამოვლინებები ერთმანეთს, რომელ რანგში არის ისინი და რომელი სახის სამართლიანობა ჭარბობს კონფლიქტის ცალკეულ შემთხვევაში.

აუცილებელია განვასხვაოთ სოციალური წარმონაქმნების სამი ჯგუფი, რომლებშიც სამართლიანობას განსხვავებული მნიშვნელობა აქვს: დაბალი ან ქვედა თემები, რომლებსაც ასევე უნდა მიეწეროს შემთხვევითი შეხვედრები; საშუალო თემები, კერძოდ, სახელმწიფო, ეკლესია და საერთაშორისო სამართლის საზოგადოება; მაღალი ან ზედა თემები, კაცობრიობის კულტურული თემი (ჰუმანიზმი).

6. მეთოდების საკითხთან დაკავშირებით აქაც შემიძლია მივუთითო ჩემს ნაშრომზე „მეცნიერების საფუძვლები“ 1926 წ. (მე-2 გამოცემა, 1949 წ.); ხელოვნებასთან დაკავშირებით – ჩემს წიგნზე ბეთჰოვენის შესახებ, 1958 წ., თავი 1, 2.

ქვედა ჯგუფში უმაღლეს სოციალურ კანონს წარმოადგენს მაქსიმალური ხელშეწყობა საერთო სიკეთისთვის, რომელიც სავალდებულოა ყველა მონაწილისთვის. ზოგადად, აქ ჩანს უმაღლესი სოციალური კანონი, რომელსაც ჩვენ ვუწოდეთ სოციალურ-ფილოსოფიურ ძირითად კანონს და რომელიც სავალდებულოა მთელი სოციალური ცხოვრებისათვის, მათ შორის, მომდევნო ორი ჯგუფისთვის. აქ, ყველაზე პრიმიტიულ ჯგუფში, ის ვლინდება ყველაზე პრიმიტიული ფორმით და, ბუნებრივია, შემოიფარგლება სოციალური ურთიერთობების შესაბამისი, მეტ-ნაკლებად ვიწრო ჩარჩოებით. ეს ჯგუფი, უპირველეს ყოვლისა, მოიცავს უფრო მჭიდრო თემებს – ქორწინებასა და ოჯახს, მეგობრობასა და ამხანაგობას, სკოლასა და აღმზრდელობით თემებს, პროფესიულ და საგანმანათლებლო თემებს, ეკონომიკურ და იდეურ გაერთიანებებს. ამ ჯგუფებში სამართლიანია ის, რაც ხელს უწყობს შესაბამისი საზოგადოების მიერ მისი ამოცანებისა და მიზნების შესრულებას. ცალკეულ ადამიანს უნდა მოეპყრონ მისი ფასეულობის ან ამ თემისთვის ფასეულობის გარანტიის შესაბამისად; მაშინ ამ საზღვრებში კმაყოფილდება საერთო სიკეთე და რეალიზდება სამართლიანობა. ზემოაღნიშნული განმარტებები სამართლიანობის შესახებ აქ თავიანთი პირდაპირი მნიშვნელობით გამოიყენება. აშკარა ეჭვები ეხება არა სამართლიანობის კონცეფციას, არამედ შესაბამისი თემის ამოცანების წრის განსაზღვრას, რომელიც ყოველთვის მარტივად ვერ ფორმულირდება, მაგრამ უფრო დეტალური შემოწმებისას ყოველთვის არსებობს, თუ თემი არსებობს.

ამ ჯგუფში შედის ყოველდღიური სოციალური ცხოვრების ნაკლებად მნიშვნელოვანი შემთხვევები, როდესაც ადამიანი ხვდება სხვა ადამიანებს ქუჩაში, ტრანსპორტში, მაღაზიებსადა რესტორნებში; აქ მჭიდრო კონტაქტის არარსებობის გამო არ ხდება თემის ჩამოყალიბება, არამედ მხოლოდ წინა საფეხურია ან უბრალოდ სოციალური ჯგუფია, რომელიც შემთხვევითობაზეა დაფუძნებული და სწრაფად ქრება. თუმცა დაძაბულობა და კონფლიქტები შესაძლებელია წამიერად; მაშინ საერთო, თუნდაც დროებითი, ფასეულობის მაქსიმალური ხელშეწყობის პრინციპი ჩვეულების, წესიერებისა და თავაზიანობის წესების შესაბამისად ვრცელდება მათ აღმოფხვრაზე ან თავიდან აცილებაზე, მაგალითად, შეზღუდულ სივრცეში ადგილის დათმობის შემთხვევაში, კარში შესვლის შემთხვევაში, სატრანსპორტო საშუალების გამოყენებისას, სასტუმროში განთავსებისას. აქ სამართლიანობა ნიშნავს სხვისთვის შესაძლებლობის მიცემას, შეძლებისდაგვარად გამოიყენოს საერთო ფასეულობები, დადგენილი წესებისა და ჩვეულებების დაცვითა და დაძაბულობების შეძლებისდაგვარად თავიდან აცილებით. ხოლო თუ კონკრეტულ შემთხვევაში უფლებამოსილების ან ჩვეულების ასეთი ნორმა არ არსებობს, აუცილებელია დამოუკიდებლად, თუ შესაძლებელია ყველა დაინტერესებული მხარის თანხმობით, ჩამოყალიბდეს

კონკრეტული, მაგრამ განზოგადების უნარის მქონე ნორმები. ამრიგად, ადამიანი უკვე წინასწარ შეიმუშავებს ზოგად სამართლიანობას.

საშუალო ჯგუფში მოქმედებს სამართლიანობის იგივე პრინციპები. თავისებურება ჩნდება მხოლოდ მაშინ, როდესაც უფრო დიდი თემები – სახელმწიფო და ეკლესია, სტატუსი და კლასი, პარტიები და პოლიტიკური გაერთიანებები – დიდი რაოდენობით აყალიბებენ გარკვეულ წესებს, რომლებიც პირველ რიგში უნდა იქნეს დაცული; მაშინ იზეიმებს სამართლიანობა. ამ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, საუბარია სამართლებრივ განსაზღვრულობაზე, თანმიმდევრულობასა და ერთგვაროვნებაზე. მაინდივიდუალიზებელი ჩვეულება, რომელიც დიდწილად ცალკეულ შემთხვევაზეა ორიენტირებული, აქ უკანა პლანზე გადადის, მაგრამ არ სუსტდება; ის შემავსებელია იქ, სადაც სამართლებრივი დებულებები არ არსებობს ან არასაკმარისია. მაშასადამე, სამართლიანობა, უპირველეს ყოვლისა, ფორმალური ზოგადი სამართლიანობაა: არსებულ ნორმებთან შესაბამისობა. ამის შესავსებად და გამოსასწორებლად ინდივიდუალურ, მაგრამ განზოგადების უნარის მქონე სამართლიანობას, როგორც პირველ ჯგუფში, პრაქტიკული თვალსაზრისით მხოლოდ „დამხმარე“ მნიშვნელობა აქვს. საერთაშორისო სამართალში, სადაც უფრო მეტია კონკრეტული სამართლებრივი ნორმების ნაკლებობა, ვიდრე სახელმწიფო სამართალში, უფრო ხშირად გვხვდება სამართლიანობის შევსების ასეთი შემთხვევა. ზოგადად, ამ საშუალო ჯგუფში ინდივიდუალური სამართლიანობა ასრულებს უფრო დამხმარე და ამავდროულად შემზღუდველ ფუნქციას.

უმაღლეს ჯგუფში – ცივილიზებული ერების ზესახელმწიფოებრივი თემების იმპერიაში (საერთაშორისო სამართალი წარმოქმნის გადასვლას) – ისევე როგორც პრიმიტიულ თემებში, ისევ არის გარკვეული სამართლებრივი ნორმების ნაკლებობა ან ისინი იმდენად ზოგადი და აბსტრაქტული ხასიათისაა, რომ ისინი ჯერ უნდა შეივსოს კონკრეტული, ცოცხალი შინაარსით. აქ ისევ უმთავრესი მნიშვნელობა აქვს ინდივიდუალურ, განზოგადების უნარის მქონე სამართლიანობას. აქ საერთო სიკეთე ჰუმანიზმის სახეს იღებს; ზოგიერთ შემთხვევაში ის შეიძლება განისაზღვროს ძალიან ინდივიდუალურად და დახვეწილად, როგორც მოყვასის სიყვარული, რომელიც არ განსხვავდება პირველი ჯგუფისგან, მაგრამ საბოლოო ორიენტაციას ის პოულობს კაცობრიობის ერთობაში, ჰუმანიზმსა და მოყვასის სიყვარულში. ამავდროულად, ეს ქმნის უმაღლეს სტანდარტს ყველა შესაძლო განსაკუთრებული სახის სამართლიანობისა და წინა ორი ჯგუფის საერთო სიკეთისთვის.

ამრიგად, ყველა სოციალური ინსტიტუტი და ადამიანის ქმედება შესაძლებელია მხოლოდ სამართლიანობის არსებობის პირობებში.

18. საკუთარი სიკვდილის სამართლიანობა. ღვთაება

სამართლიანი ბედიდან გამომდინარეობს მტკიცება, რომ საკუთარი ცხოვრება ერთ დღეს იპოვის დასასრულს, რომელიც შეესაბამება ამ ცხოვრების ფასეულობის აზრს, არის მისთვის ადეკვატური (შესაბამისი), სამართლიანი. დისონანსი იქნებოდა, თუ მძიმე დამნაშავის სიცოცხლე დასრულდებოდა კურთხეული, ბედნიერი დასასრულით, ამაღლებით, „უმტკივნეულო სიკვდილი, იზოლდას სიმაჟორულ კვინტაკორდში ამაღლებული სასიყვარულო სიკვდილით, ხოლო იესო ქრისტეს ტანჯვა, ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად, არ იქნებოდა სამართლიანი დასასრული სამაგალითო, სამართლიანი ცხოვრების წესისა. რ. მ. რილკე მძაფრად გამოხატავს სამართლიანობის ამ მოთხოვნას ლოცვაში[7]:

ო, ღმერთო, მიეც საკუთარი სიკვდილი ყველას.

გარდაცვალება, გასვლა მშვიდად იმ ცხოვრებიდან,
სადაც უყვარდათ, ფიქრობდნენ და ითხოვდნენ შველას!
და ჩვენ ვართ მხოლოდ ფურცელი და გარსი.
და ის სიკვდილი, ყველა ჩვენგანში რომ არის, –
არის ნაყოფი –
მის გარშემო კი ყველაფერი ბრუნავს.

თუმცა, არ შეიძლება ითქვას, რომ სიკვდილი არის სიცოცხლის არსი და აზრი; ნებისმიერ შემთხვევაში, სიკვდილი არ უნდა მოიაზრებოდეს სიცოცხლის დასასრულად. მხოლოდ სიკვდილი, როგორც ახალი, მარადიული ცხოვრების დასაწყისი, არის ნაყოფი, რომლის გარშემოც ყველაფერი ტრიალებს, როგორც ამას რილკე ამბობდა. ცხოვრების აზრი არ შეიძლება იყოს მიზანი, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა დასასრული – პირიქით, ეს არის მოსპობა, განადგურება.

მაგრამ ბედი ყოველთვის არ არის სამართლიანი, პირიქით, ხშირად უკიდურესად უსამართლოა. სწორედ ამ აზრით დაიწყო სამართლიანობის დოქტრინის ჩვენი ზოგადი ნაწილი და იმავე აზრით პოულობს თავის (ესთეტიკური გაგებით, სამართლიან) დასასრულს, რომელიც მთავრდება ტრაგიკული ჰარმონიით. თუ მოცარტმა მსოფლიოს აჩუქა მხოლოდ ნეტარების მომგვრელი ლამაზი ნამუშევრები, რომელთა წყალობითაც ბევრი კეთილშობილი ადამიანი იღებს ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე კეთილშობილ, უწმინდეს სიხარულს, რომელიც ამაღლებს სიცოცხლეს უფრო მაღალ საფეხურზე, მაშინ გაუგებარია, რატომ უნდა დასრულებულიყო ამ ხელოვანის სიცოცხლე ასე ადრე, როცა მას ჯერ კიდევ შეეძლო საგანძურის შექმნა, რომელიც მან თან წაიღო საფლავში. ვინც ცოტათი

7. ჩემს ავტობიოგრაფიაში (1958 წ., გვ. 42) მეორე ნაწილის ბოლოს მე უკვე მოვიყვანე ციტატა წიგნიდან „სიღარიბე და სიკვდილი“ (1903 წ.) იმ კულტურული წრეების შესახებ, რომლებიც მამოძრავებენ; აქ შეიძლება მისი გამეორება მისი ზოგადი მნიშვნელობის გამო.

მაინც ჩაუღრმავდა მუსიკის ისტორიის იდუმალ მსვლელობას, იცის, რომ მოცარტი, უფრო მეტხანს რომ ეცოცხლა, გაივლიდა განვითარების იმავე გზას, რომელიც ბეთჰოვენმა თავისებურად გაიარა; მაგრამ მოცარტთან ის იქნებოდა უფრო ჰარმონიული, უფრო აპოლონური, უფრო კლასიკური, მაშინ, როცა ბეთჰოვენს ჯერ კიდევ ჰქონდა ნიადაგი მისი გასაოცარი შემოქმედებისთვის, რაც, მეორე მხრივ, უზრუნველყოფდა პრომეთეს გამარჯვებას ტრაგიკულ ცხოვრებაზე. ამრიგად, ბეთჰოვენი არავითარ შემთხვევაში არ არის მოცარტის გამგრძელებელი და სრულმყოფელი, არამედ რაღაც სხვა, თავისთავადი. სამართლიანი ბედით მოცარტი მსოფლიოს სხვა, ასევე დიდ სასწაულს მიანიჭებდა, შესაძლოა უფრო სუფთა სიხარულითა და ჭეშმარიტად ღვთაებრივი ხედვით. ნაცვლად ამისა ის საფლავში ჩაიძირა ისე, რომ არასოდეს მიუღია უმადური სამყაროსგან რაიმე მხატვრული შემოქმედების ნეტარი ტანჯვისთვის და მრავალი გათენებული ღამისა და იმ უანგარო ცხოვრების სხვა გაჭირვების სანაცვლოდ, რომელიც მხოლოდ წმინდა შემოქმედებას იცნობდა. ის, რაც გრილპარცერმა ასე ლამაზად ჩამოაყალიბა გარდაცვლილი ბეთჰოვენის პატივსაცემად წარმოთქმულ სიტყვაში, უფრო მეტად ეხება მოცარტს: „ის წავიდა ისე, რომ ადამიანებს მისცა ყველაფერი, მაგრამ არაფერი მიუღია სანაცვლოდ“[8]. შეუგნებელმა ქალაქმა ვენამ ის ღარიბთა საძვალეში მიაგდო...

ანალოგიურად შეიძლება მოვიყვანოთ გოეთეს უაღრესად ჰარმონიული ცხოვრება, რომელმაც ბედის მრავალი ტრაგიკული, დაუმსახურებელი დარტყმის მიუხედავად, ზოგადად, ჰარმონიული, „სამართლიანი“ დასასრული პოვა. თუმცა, გოეთეს თანამედროვენი და შთამომავლებიც კი არ იყვნენ მის მიმართ სამართლიანები. მხოლოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მიხვდნენ ადამიანები, თუ რა დამსახურება აქვს ამ ერთადერთი ადამიანის მოღვაწეობასა და პოეზიას. როგორც ჩანს, საზღვარგარეთაც სულ უფრო და უფრო აცნობიერებენ, რომ გოეთეს სახით გერმანიამ მთელ მსოფლიოს მისცა თანამედროვე ადამიანის პირველი წარმომადგენელი, მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ბრძენი და პირველი, ყველაზე სრულყოფილი კულტურული პიროვნება. ამ ძვირფასი, შეუცვლელი, უნიკალური საჩუქრისთვის კულტურული სამყარო სამართლიანად უნდა უმადლოდეს გერმანელებს, რომლებიც, როგორც ერი, იყვნენ გოეთეს ცხოვრებისეული შემოქმედების თანაშემოქმედნი.

მაგალითად, მოცარტი ზემოთ მხოლოდ ტრაგიკულ ფიგურად იყო ნახსენები. რამდენ ახალგაზრდა და ხანდაზმულ ადამიანს აქვს მსგავსი, უსამართლო დასასრული, რომელიც არანაირად არ შეესაბამება მათ ცხოვრებასა და საქმიანობას; და უსამართლოდ წყვეტენ მათზე საუბარს, თითქოს არასოდეს უცხოვრიათ და უმსახურიათ სხვებისთვის. ბედი ძალიან ცოტა ადამიანს აძლევს იმ დასასრულს, რომელიც მათ შეეფერება. და ამიტომ, მათ ექნებოდათ ყოველგვარი საფუძველი,

8. WW, გამომცემელი ა. ზაუერი 20, 214.

რილკესთან ერთად წარმოეთქვათ ზემოაღნიშნული ლოცვა – თუ ლოცვები, გარკვეულწილად მაინც, სასარგებლო იქნებოდა და, უპირველეს ყოვლისა, ბედს ენდომებოდა, ყოფილიყო და შეეძლო ყოფილიყო სამართლიანი. ამრიგად, ჩნდება ახალი გაგება, უფრო სწორად, ძველის დადასტურება: ბედი უნდა მივიჩნიოთ როგორც ფასეულობის საგანი, თუ მას რაიმე მნიშვნელობა აქვს, და არა უბრალოდ, ბრმად, როგორც ბუნების ძალა. და ამიტომ, ღვთაება არ უნდა მივიჩნიოთ ბუნების ძალად და ბუნების შემქმნელად, არამედ მხოლოდ ფასეულობის სუბიექტად. ამიტომ, ღვთაება მოიცავს, უპირველეს ყოვლისა, სამართლიანობას და მის წინა საფეხურს – ჭეშმარიტებას. აქედან სამართლიანობა სულ უფრო დიდ სიწმინდესა და ფასეულობას იძენს.

პირიქითაც, ღვთაებაც შეიძლება გახდეს ხელმისაწვდომი უფრო ღრმა გააზრებისთვის ამ ორმაგად სუბიექტურ-ტრანსცენდენტური ხასიათის წყალობით. ნება მომეცით, კიდევ ერთხელ შემოგთავაზოთ სამების დოქტრინის განმარტება: მამა ღმერთი არის შემოქმედი ღმერთი (არასრულყოფილი, ნაკლულოვანი) ბუნებისა; ძე ღმერთი არის ადამიანი, რომელიც მარად იღვწის (გოეთეს ფაუსტის გაგებით); სულიწმიდა არის ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის მარადიული ფასეულობების ნორმატიულ-პანთეისტური ღმერთი[9].

ღვთაებრივის პრობლემა გადაწყვეტას ღირებულებით-ფილოსოფიურ ასპექტში პოულობს სამართლიანობის ცნების დახმარებით, რომელიც, თავის მხრივ, იძენს რეალისტურ-იდეალისტურ განმარტებას როგორც მარადიულ (ღვთაებრივ) ფასეულობას და, შესაბამისად, ვიტალისტურ-მეტაფიზიკურ გაღრმავებას. ამ პრობლემური სფეროს ფარგლებში ჩვენ ვმუშაობდით ღირებული მონადის ცნებასთან, რომელიც იურიდიულ სფეროში სწორედ სამართლებრივი მონადის სახით ვლინდება; თუ ეს ტერმინი არ მოგწონთ, მის ნაცვლად გამოიყენეთ ტერმინი მატერიალური ფასეულობა, რომელიც ზემოთ განვიხილეთ. ღვთაებრივს უნდა ჰქონდეს შემდეგი მახასიათებლები და ისინი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ადამიანური ამთვისებლობისთვის.

a) ღვთაებრივი არის ადამიანური გამოცდილების ობიექტი; მხოლოდ ის, რასაც განვიცდი, არსებობს ჩემთვის და მხოლოდ იმის შესახებ, რასაც განვიცდი, შემიძლია გამოვთქვა აზრი. ღმერთი შესაძლებელია მხოლოდ იმ სახით, როგორითაც ადამიანები ქმნიან მას. ღმერთი ყოველთვის შეზღუდულია ადამიანის წარმოსახვით. ეს კანტის ტრანსცენდენტური მეთოდის ზოგადი მახასიათებლებია, თანამედროვე ცხოვრების ფილოსოფიად გარდაქმნილი. ამავდროულად, თითოეულს შეუძლია გამოიყენოს ნებისმიერი საშუალება, რომელიც მას ნაყოფიერად და ეფექტიანად მიაჩნია: რელიგიური დოგმები და სიმბოლოები, პოეტური, მუსიკალური, არქიტექტონიკური, სკულპტურული თუ ფერწერული გამოხატულებები ან, სულაც, აზროვნების მეცნიერული ფორმები.

9. Kanststudien 50, 1958/9, 211.

b) ღვთაებრივი წარმოადგენს ადამიანისთვის გააზრებად უმაღლეს ფასეულობით სტრუქტურას, რომელზე მაღლა სხვა არაფერია; ეს არის ყველაზე სრულყოფილი ფასეულობა, რომელიც თავისთავად ატარებს თავის მნიშვნელობას – აბსოლუტური ფასეულობა. ცხადია, ის განსაკუთრებით გაიაზრება ბოროტების, ცუდისა და ამაზრზენის საპირისპიროდ (ანტიპოდად), განსაკუთრებით კრიმინალურისა და ამორალურისა. ამ თვალსაზრისით, რელიგია საუბრობს ეშმაკზე, როგორც ღმერთის მოწინააღმდეგეზე; კანტი ღვთაებას პრაქტიკული საღი აზრის პოსტულატს უწოდებს. აქ მანძილი სიცოცხლესა და ღვთაებას შორის ისე ძლიერად არის გამოხატული, რამდენადაც ამის წარმოდგენა შესაძლებელია. ამ განზომილებების საყოველთაო მრავალფეროვნების გაცნობიერება არის სპეციფიკური ცნობიერება ღმერთის გასააზრებლად. ცხოვრების არასრულყოფილება, რომელსაც მძაფრად გრძნობს თითოეული ბოროტებისა და სიკვდილის პირისპირ, თავისი ფსიქოლოგიური ანტიპოდის სახით მოითხოვს უმაღლესი სრულყოფილების იდეას; ლოგიკურადაც შეუძლებელია არასრულყოფილის გააზრება სრულყოფილის გარეშე.

c) ამ ორ ანტიპოდს შორის კავშირი ფასეულობებისკენ სწრაფვაა: ბოროტების დაძლევისაკენ სწრაფვა და ფასეულობებისა და სულ უფრო მაღალი ფასეულობებისკენ სწრაფვა, სანამ საბოლოოდ მსწრაფველი არ მიაღწევს უმაღლეს ფასეულობებს. თითოეული ფასეულობითი ზრდა აღებს პერსპექტივას და აღვივებს უფრო უმაღლესი ფასეულობებისკენ მისწრაფებას, რომელშიც არის მთელი ცხოვრების უმაღლესი აზრი.

d) სოციალური ცხოვრების სფეროში უმაღლესი ღირებულება სამართლიანობაა, რომელიც სხვა აბსოლუტური ფასეულობების მსგავსად ღვთაებრივის ნაწილობრივი გამოვლინებაა. მხოლოდ ამ შემთხვევაში ხდება ღვთაებრივის განცდისა და წარმოდგენის ფორმები ადამიანური ამთვისებლობისთვის ხელმისაწვდომი. ეს, რა თქმა უნდა, არ არის ერთადერთი ფენომენი, მითუმეტეს, უზენაესი მსოფლიო სულის არსი; მაგრამ ის სცილდება ადამიანის გამოცდილებისა და ამთვისებლობის უნარს, ასე რომ ჩვენ არ შეგვიძლია რაიმე აზრის გამოთქმა მათი მახასიათებლების ან თუნდაც მათი არსებობის შესახებ. მხოლოდ დაშვება მნიშვნელოვანი ძალის არსებობის შესახებ, რომლისგანაც მომდინარეობს მსოფლიო მოვლენების მამოძრავებელი ყველა ძალისმიერი და ფასეულობითი მისწრაფება, შეიძლება გამართლებული იქნეს როგორც თეორიული ჰიპოთეზის განხორციელება.

e) ადამიანის ცხოვრებისა და მისწრაფებების სფეროში ღვთაებრივი ჩნდება არა როგორც სამყაროს შემოქმედი – და მითუმეტეს არა როგორც (შეძლებისდაგვარად ადამიანის მსგავსი) პიროვნება – არამედ მხოლოდ როგორც მატერიალური ფასეულობების განსახიერება, კერძოდ, კონკრეტული მატერიალური ფასეულობებისა, რომლებიც მუდმივად იცვლება, იზრდება, მაღლდება და ერთიანდება (სოციალიზაცია). მე არ შემიძლია, განვიცადო უცვლელი, მარადიული იმიერი, ამიტომ არ შემიძლია მისი დაჯერება, გააზრება ან ვარაუდი. მაგრამ მე განვიცდი მარადიულ ფასეულობებს, როგორც ღირებულ მონადებს, თუ ჩემი ფასეულობითი მისწრაფებები შეესაბამება

აბსოლუტურ ფასეულობებს, განსაკუთრებით, თუ ისინი აკმაყოფილებს სამართლიანობას.

f) ფასეულობებისკენ სწრაფვა სულაც არ არის ღირებული მონადის სინონიმი, მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივად და დროის თვალსაზრისით ისინი ერთმანეთს ემთხვევა. ფასეულობებისკენ სწრაფვა არის ფაქტობრივი ცხოვრების ფენომენი, რომელიც მიზნად ისახავს სუბიექტური ფასეულობების მიღწევას, მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, ინტერესების განხორციელებას. ეს არ ნიშნავს, რომ ქმედება და მისი მიზანი ობიექტურად არის გამართლებული; დამნაშავეც ფასეულობებისკენ ისწრაფვის. ღირებული მონადები არის ისეთი ფასეულობითი მისწრაფებები, რომლებიც არა მხოლოდ ობიექტურად არის გამართლებული (ანუ ისინი არსებობს ნებისმიერი თემის, მაგალითად, სახელმწიფოს ან ეკლესიის წინაშე), არამედ შეესაბამება უმაღლეს, აბსოლუტურ, მარადიულ ფასეულობებს. ამ მხრივ, თითოეული ღირებული მონადა ასევე ემყარება ფასეულობით მისწრაფებებს. თუმცა, ღირებული მონადა არ არის ფაქტობრივი, ფსიქოლოგიური ან სოციოლოგიური ფენომენი, არამედ ეპისტემოლოგიური და მეტაფიზიკური სიდიდეა; ეს არის ტენდენცია, ენერგია, სულიერი დედაარსი, რომელიც თან ახლავს ამ ფაქტობრივ ფასეულობით მისწრაფებებს, თუ ისინი აბსოლუტურად გამართლებულია. ღირებული მონადა აკმაყოფილებს ჭეშმარიტებისა და სილამაზის, მორალისა და სამართლიანობის ძირითად სამეცნიერო კანონებს. ის გადადის კულტურაში და მაღლდება კონკრეტულ მარადიულ ფასეულობებამდე. ის იძირება მარადისობაში, ხოლო ადამიანის ინდივიდუალური სწრაფვა ფასეულობისკენ ყველაზე გვიან წყდება სიკვდილით. ღირებული მონადები ქმნის ადამიანის უკვდავ არსებას. ადამიანური ამთვისებლობისთვის მარადისობა ნიშნავს ღირებული მონადების განსახიერებას და ურთიერთკავშირს; ამიტომ, ის მუდმივად მით უფრო იცვლება და ფართოვდება, რაც უფრო მეტი ღირებული მონადა მიედინება მიწიერი ცხოვრებიდან კულტურაში, ხოლო კულტურიდან კი – მარადისობაში. ღირებული მონადა არის არა მხოლოდ (ეპისტემოლოგიურ-კრიტიკულად) ობიექტური ფასეულობითი განსჯა, არამედ (მეტაფიზიკურად) ობიექტური ფასეულობა, ფასეული ობიექტი, რომელიც გასაგები ხდება როგორც ასეთი ობიექტურ-კრიტიკული ფასეულობითი განსჯის ჩამოყალიბებისა და გამოტანისას. ამ ფუნქციას ასრულებს არა მიწიერი მოსამართლე, არამედ მეცნიერება იდეაში, ძირითადი კანონებისა და აბსოლუტური ფასეულობების შესაბამისად, ანუ წარმოსახვითი ლოგიკური შემფასებელი, ტრანსცენდენტური პიროვნება. ღირებული მონადა არ არის მიწიერი ფენომენი; მაგრამ ის ცხოვრობს მიწიერ ფენომენებში, მკაფიოდ აღმოცენდება მათგან და იზრდება სიცოცხლეზე მაღლა, როდესაც ეს უკანასკნელი ქრება. ადამიანის გარდაცვალების შემდეგ რჩება მის მიერ შექმნილი მატერიალური ფასეულობები; ეს არა რეალური ნაწარმოებებია, რომლებიც ჯერ კიდევ მიეკუთვნება კულტურულ ცხოვრებას (როგორიცაა ხელოვნება და მეცნიერება, ტექნოლოგია და ეკონომიკა), არამედ მათ საფუძვლად არსებული ღრმა სულიერი ენერგიები, რომლებიც აგრძელებს ცხოვრებას სხვა ადამიანებში,

ისევე როგორც სხვა ხალხებში, იმდენად, რამდენადაც ისინი დაკავებული არიან მსგავსი ცხოვრებისეული ამოცანებით და დაკავშირებული არიან, ალბათ, დიდი ხნის გარდაცვლილ კულტურის მატარებლებთან. ეკლესიებისა და ხელოვნების საგანძურის, ბიბლიოთეკებისა და სამრეწველო შენობების განადგურებაც კი არ აკნინებს უბედური ხალხის კულტურის ღირებულებას; მატერიალური ფასეულობები ხელახლა იბადება სხვა ადამიანებსა და ერებში, როდესაც კვლავ დგება მათი დრო დედამიწაზე. ღირებული მონადები არის მუდმივი სტიმული მათი მატარებლისთვის, რომ ისწრაფოდეს უფრო და უფრო მაღლა, ხოლო გარემოსა და შთამომავლებისთვის წარუშლელი მაგალითია ცხოვრებისა და სწრაფვისთვის.

g) კერძოდ, სამართლებრივი მონადები არის კანონებისა და გადაწყვეტილებების განუყოფელი სამართლებრივი ფასეულობები, რომლებიც აკმაყოფილებს სამართლიანობისა და საერთო სიკეთის ძირითადი კანონის მოთხოვნებს. კანონის შემქმნელი კონკრეტული ნორმები ქმნის გადაწყვეტილების სულს და წარმოადგენს პრეცედენტების, აგრეთვე მატერიალური იურიდიული ძალის გადამწყვეტ ელემენტებს (შდრ. ქვემოთ II 2, 3).

ლიტ.: SystRSPh. § 5 (გვ. 28-33); eingehender Metaphysik 1951 (იხ. სარჩევი).